ამონაწერი

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის სხდომის №1 ოქმიდან

სხდომას ესწრებოდნენ:

1. სამეცნიერო საბჭოს წევრები: გ. ჯაფარიძე (თავმჯდომარე), გ. გელაშვილი, ვ. კვაჭაძე, ა. ნერსესიანი, ა. ღონღაძე, გ. მამნიაშვილი, ს. ნანობაშვილი, ჯ.მონასელიძე, ვ. ბერეჟიანი, ნ შათაშვილი, ა. შენგელაია, ვ. ბრეგაძე, ნ. საპოჟნიკოვა. (13 წევრი 16-დან).

სხდომის წამყვანი: გ. ჯაფარიძე

სხდომის მდივანი: მ. ჯანჯალია

დღის წესრიგი:

1. თსუ ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეობიდან აკადემიკოს გიორგი ჯაფარიძის განთავისუფლების შესახებ პირადი განცხადების თაობაზე.
2. თსუ ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

მოისმინეს:

გიორგი ჯაფარიძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მისი უფლებამოსილების ვადა იწურება 2024 წლის იანვარში. გ. ჯაფარიძემ თხოვნით მიმართა საბჭოს წევრებს ვადამდე გაანთავისუფლონ ის დაკავებული თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

დაადგინეს: საბჭოს წევრებმა გაიზიარეს გ. ჯაფარიძის თხოვნა და ღია კენჭისყრით, 11 მომხრე, 2-მა თავი შეიკავა, გაანთავისუფლეს ის თსუ ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან.

მოისმინეს:

მოისმინეს გ.ჯაფარიძის ინფორმაცია კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკის განყოფილების სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს სხდომის თაობაზე, რომელმაც თსუ ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წამოაყენა განყოფილების გამგის, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პროფესორის აკადემიკოს ალექსანდრე შენგელაიას კანდიდატურა.

დაადგინეს:

1. ღია კენჭისყრის შედეგების საფუძველზე თსუ ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ 5 წლის ვადით არჩეულ იქნას მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი აკადემიკოსი ალექსანდრე შენგელაია .

სხდომის წამყვანი: გ. ჯაფარიძე

სხდომის მდივანი : მ. ჯანჯალია